

ომი უკრაინაში. ყოველდღიური განახლება. 10.00, 09.03.2022.

სანქციები. რუსეთის ბლოკადა, გადადის შემდეგ ეტაპზე, რომელიც მიზნად ისახავს ნავთობისა და გაზის სექტორს. [შეერთებულმა](#) შტატებმა აკრძალა რუსული ნავთობის, თხევადი ბუნებრივი აირის და ნახშირის იმპორტი. აკრძალვა ასევე მოიცავს შეზღუდვებს შემდგომი ინვესტიციების ან იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც ხელს შეუწყობს რუსეთის ენერგეტიკულ სექტორს. ბრიტანეთი ასევე კრძალავს რუსულ ნავთობს. აშშ-ს გადაწყვეტილების შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა ასევე განაცხადა, რომ აპირებს შეწყვიტოს რუსული ნავთობის იმპორტი 2022 წლის ბოლოსთვის. [რუსული იმპორტი შეადგენს](#) გაერთიანებული სამეფოში, ნავთობზე მთლიანი მოთხოვნის 8%-ს. [ევროკავშირმა](#) გამოაცხადა მათი გეგმა, 2030 წლამდე ევროპის რუსული წიაღისეულზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ. ამ დროისთვის, ევროკავშირი ახორციელებს გაზის მოხმარების 90%-ის იმპორტს, ხოლო რუსეთი უზრუნველყოფს ამ იმპორტის დაახლოებით 45%-ს, სხვადასხვა რაოდენობით წევრ ქვეყნებში. რუსეთს ასევე უკავია ნავთობის იმპორტის დაახლოებით 25% და ნახშირის იმპორტის 45%. გარდა ამისა, [დიდმა ბრიტანეთმა](#) გააძლიერა სანქციები ვლადიმერ პუტინის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, აკრძალა ყველა რუსული თვითმფრინავის დაშვება და ფრენა ბრიტანეთში ასევე აკრძალა ავიაცია და კოსმოსთან დაკავშირებული ექსპორტი. საავიაციო ექსპორტის აკრძალვა მოიცავს ტექნოლოგიასა და კომპონენტებს, ასევე სადაზღვევო და გადაზღვევის პროდუქტებს.

საგარეო პოლიტიკა. იაპონია აგრძელებს კურილის კუნძულების საკითხების დღის წესრიგში მოყვანას. კურილის კუნძულები მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რუსეთის ნაწილია. უკრაინის შემდგომი ტერიტორიების ოკუპაციის რუსეთის მცდელობების ფონზე, დავა კვლავ იჩენს თავს. იაპონიის პრემიერ მინისტრი ფუმियो კიშიდა ხაზს უსვამს, რომ კურილის კუნძულების პრობლემა გადაუჭრელი რჩება.

ევროკავშირის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი [ვალდის დომბროვსკისი](#) გაფრთხილებას ავრცელებს რუსეთის სამხედრო ამბიციების შესაძლო გახანგრძლივებას ბალტიის ზღვის ქვეყნებში ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში, თუ რუსეთი არ შეჩერდება უკრაინაში.

ევროკავშირი პარიზში 10-11 მარტს [ევროკავშირის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების არაფორმალურ შეხვედრას](#) გამართავს. შეხვედრაზე განიხილება ევროკავშირის თავდაცვის შესაძლებლობების შემდგომი განხილვა, ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირება და უფრო ძლიერი ეკონომიკის მშენებლობა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის ფონზე. თუმცა, ზოგიერთი უკრაინელი დეპუტატი იმედოვნებს, რომ წევრი ქვეყნები მიაღწევენ კონსენსუსს უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, თუმცა დღის წესრიგში ეს მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული. ანალიტიკური ცენტრი „ევროპა ნოვამ“ მოამზადა [მოკლე განმარტება](#), თუ რატომ იმსახურებს უკრაინა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს.

საერთაშორისო საზოგადოება. [გერმანია](#) უკრაინაში რუსული სამხედრო დანაშაულების გამოძიების პროცესს აანონსებს. გერმანიის გენერალურმა პროკურორმა პიტერ ფრანკმა დაიწყო გამოძიება რუსეთის მიერ კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენების, საცხოვრებელი კორპუსების, გაზსადენების და ბირთვული ნარჩენების განთავსების ადგილების დაბომბვის შესახებ, იტყობინება Spiegel. [ესპანეთმა](#) ასევე გადაწყვიტა გამოძიების დაწყება უკრაინაში რუსეთის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაძლო სერიოზულ დარღვევებზე.

ჰუმანიტარული დერეფნები. რუსულმა ჯარმა კიდევ ერთხელ გახსნა ცეცხლი ჰუმანიტარული დერეფნების მიმართულებით, ისინი არ აძლევენ საშუალებას, ბავშვებმა, ქალებმა და მოხუცებულებმა დატოვონ მარიუპოლი, დონეცკის რეგიონი. ქალაქში სიტუაცია დღით-დღე უარესდება. ქალაქში ხალხი ისევ დატყვევებულია. მიმდინარე სროლების, დაბომბვის და რესურსების არ არსებობის შედეგად მარიუპოლში 6 წლის გოგონა გაუწყლოებით დაიღუპა. BM-21 „გრადმა“ დაბომბა ჰუმანიტარული დახმარების კოლონა. თვალი ადევნეთ მარიუპოლში დარჩენილი მოსახლეობის ოჯახის წევრების [მესიჯებს](#). მიკოლაივის რაიონში რუსულმა ძალებმა დაბომბეს ბავშვთა სახლის აღმზრდელთა ჯგუფი, რომლებიც ცვლაში მიდიოდნენ. დაბომბვის შედეგად სულ მცირე სამი მომვლელი დაიღუპა. დაშავდა კიდევ ორი ადამიანი. კიევის ოლქში, ირპინიდან 3000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე იქნა ევაკუირებული. სუმის რეგიონიდან 5000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე იქნა ევაკუირებული და შემდგომი ევაკუაცია დღეს გაგრძელდება, მათ შორის უცხოელი სტუდენტებიც. დღეს დილით გამოცხადდა, რომ

ჰუმანიტარული ევაკუაცია დღეს უნდა დაიწყოს ბუჩადან, ვორცელიდან, ჰოსტომელიდან, ენერგოდარიდან, ირპინიდან, ბოროდიანკადან, მარიუპოლიდან, იზიუმიდან, ვოლნოვახადან.

თავდასხმის ქვეშ მყოფი ქალაქები. რუსულმა ჯარებმა გაანადგურეს ჰოსპიტალი ხარკოვის რეგიონში, [იზიუმი](#), „მე მეგონა, რომ ჯოჯოხეთის კარი დაკეტილი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ პირველი სართული იყო. ეს არის ჩვენი ქალაქის გენერალური საავადმყოფოს მისაღები. ალბათ ნატოს კიდევ ერთი საიდუმლო ბაზა. პაციენტები ცდილობდნენ ნანგრევებიდან გამოსვლას, როგორც შეეძლოთ“, - წერს მერის მოადგილე ვოლოდიმირ მაცოკინი. შემდგომი თავდასხმები მიზანმიმართული იქნება ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურა მიწოდების შეწყვეტის მიზნით. რაკეტამ გაანადგურა [7 სახლი](#) მალინში, ჟიტომირის რაიონში, დაიღუპა 5 ადამიანი, მათ შორის 2 ბავშვი. ირპინი, ვორცელი, ბუჩა, ჰოსტომელი, ზაბუჟია, მიხაილივკა-რუბეჟივკას, კიევის რეგიონში აქტიურად თავს ესხმიან რუსული ჯარები, ასევე წყვეტენ საკვების მიწოდებას. მიუხედავად აქტიური შეტევითი ოპერაციისა, ხერსონისა და მისი რეგიონის მშვიდობიანი აქციები გრძელდება ოლემპიში, გოლა პრისტანში, ბერეჟანკასა და ვერხნეროგაჩივიაში.

ენერგეტიკული უსაფრთხოება. უკრაინა ევროპულ ენერგოსისტემას ENTSO-E-ს ერთ კვირაში უერთდება, რადგან სინქრონიზაციის პროცესი დასკვნით ეტაპზეა. IAEA-მ დაკარგა კონტაქტი ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე (NPP) მონიტორინგის სისტემებთან, რომლებიც რჩება რუსეთის ჯარების კონტროლის ქვეშ. ზაპორიჟიას ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლები კვლავ ტყვედ რჩებიან და არსებული ცნობებით მალ აწამებენ ქარხანაში რუსული ძალები. ჩაწერილია დადგმული ვიდეო ატომური ელექტროსადგურის პერსონალთან ერთად, რომელიც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნას მანიპულირებისთვის. ამჟამად, დაახლოებით 500 რუსი ჯარისკაცი და 50 მძიმე სამხედრო მანქანაა.

ბიზნესის დახურვა. რამდენიმე დღიანი ზეწოლის შემდეგ, [Shell](#) ტოვებს რუსეთის ბაზარს და პირობას დებს, რომ შეწყვეტს რუსული ნავთობის ყიდვას, დახურავს სერვის ცენტრებს, დახურავს საავიაციო საწვავსა და საპოხი მასალების ოპერაციებს. მაკდონალდსი 850 რესტორანს დროებით დახურავს. უნილევერი რუსეთში ექსპორტს აჩერებს. ბოლტი უკრაინას 5 მილიონ ევროს სწირავს და ბელორუსიაში ოპერაციებს ხურავს. Coca-Cola-მ და PepsiCO-მ გადაწყვიტეს შეაჩერონ საქმიანობა რუსეთში. მსოფლიოს უდიდესმა ჩამწერმა კომპანია Universal Music Group-მა განაცხადა, რომ აჩერებს ყველა ბიზნეს ოპერაციებს რუსეთის ფედერაციაში და ხურავს თავის ოფისებს.

ციფრული უსაფრთხოება. უკრაინაში და პოლონეთში, [ფართომასშტაბიანი ფიშინგური](#) თავდასხმები განხორციელდა. Google იუწყება, რომ თავდასხმები წარმოიშვა ბელორუსიიდან, რომლის მიზანი პოლონელი სამხედროები, ასევე უკრაინის ოფიციალური პირები, და უშიშროების მკვლევარები იყვნენ.

დეზინფორმაცია. რუსეთმა კიდევ ერთი მიზეზი იპოვა უკრაინაში სამხედრო შეჭრის გასამართლებლად. გავრცელებული ინფორმაციით, [რია ნოვოსტიმ განაცხადა](#), რომ რუსეთის შეტევამ უკრაინაზე, სავარაუდოდ, ჩაშალა "ფართომასშტაბიანი შეტევა უკრაინის ჯარების დარტყმის ჯგუფების მიერ" ფსევდორესპუბლიკების "LNR" და "DNR" წინააღმდეგ. სავარაუდოდ, უკრაინა გეგმავდა შეტევითი ოპერაციას L/DNR-ზე.

შენიშვნები სპეციფიური სფეროდან. ალექსანდრე მიხედმა, უკრაინელმა მწერალმა, დაწერა ესე Financial Times-ისთვის მშობლიურ ჰოსტომელზე, რომელიც ამჟამად მძიმედ არის თავდასხმის ქვეშ და ოკუპირებული. [წერილი უკრაინიდან: ომის ენა | Financial Times \(ft.com\)](#)

სტატისტიკა:

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა გამოაცხადა რუსი სამხედროების საერთო სავარაუდო დანაკარგები 2022 წლის 9 მარტის დილის 6 საათისთვის: ჯარი - 12 000-ზე მეტი, ტანკები – 317, APV – 1070, საარტილერიო სისტემები - 120, MLRS - 56. , საზენიტო საბრძოლო სისტემები - 28, თვითმფრინავი - 49, შვეულმფრენები - 81, მანქანები - 482, მსუბუქი სიჩქარის კატარღები - 3, საწვავის ავზები - 60, UAV ოპერატიულ-ტაქტიკური დონე - 7.

ყველა ქმედება მნიშვნელოვანია, რაც არუნდა მცირე!!

- [მხარი დაუჭირეთ უკრაინის ბუნების დაცვის ჯგუფს](#), ისინი იბრძვიან ბუნებრივი პარკებისა და ველური ბუნების შესანარჩუნებლად.
- გადახედეთ ინფორმაციას იმის შესახებ თუ [როგორ ვისაუბროთ უკრაინაში ომზე](#).
- [მიჰყევით ბმულს](#), იმის შესახებ როგორ დაუჭიროთ მხარი უკრაინას სანდო ორგანიზაციების სიით.
- გააზიარეთ თქვენი ისტორია უკრაინის შესახებ - თუ გიმოგზავნიან აქ ანთუ გყავთ მეგობრები. [გაავრცელეთ ინფორმაცია უკრაინის შესახებ](#).
- გააზიარეთ სიმართლე - [გაავრცელეთ ინფორმაცია ამ განახლებისა და ვებსაიტის შესახებ](#).

მადლობა უკრაინის მხარდაჭერისთვის! დიდება უკრაინას! დიდება უკრაინას!